

## ჰუმანიტარული მეცნიერებები / HUMANITIES

**თეონა ხუფენია**

ფილოლოგიის დოქტორი, ზსუ პროფესორი

**ORCID 0000-0002-6898-5243**

**ლუიზა ხაჭაპურიძე**

ფილოლოგიის დოქტორი, ანსუ ასოცირებული პროფესორი

**ORCID 0000-0002-1991-2005**

### ნეგატიური კონტაქტის მქონე ენოლოგიური ტერმინების სემანტიკური და ლექსიკოლოგიური ასპექტები ქართულ ენაში

#### აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს ქართული ღვინის ხარისხობრივი მახასიათებლების ამსახველი ლექსიკური ერთეულების სემანტიკურ ანალიზს, რომელიც ეფუძნება სავლელე კვლევებსა და ლექსიკოგრაფიულ წყაროებს. განხილულია უხარისხო ღვინის აღმნიშვნელი ტერმინების სემანტიკური ველები სხვადასხვა დიალექტურ არეალში, მათი ეტიმოლოგიური და სემანტიკური თავისებურებები.

კვლევა წარმოადგენს ქართული ენის დიალექტებში დადასტურებული ცუდი ღვინის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების სტრუქტურულ-სემანტიკურ ანალიზს. მასალა მოპოვებულია როგორც სავლელე კვლევების, ისე ლექსიკოგრაფიული წყაროების საფუძველზე. კვლევის შედეგად გამოვლინდა ლექსემათა სემანტიკური ჯგუფები და მათი გავრცელების არეალი ქართული ენის დიალექტებში.

**საკვანძო სიტყვები:** დიალექტოლოგია, ენოლოგიური ტერმინოლოგია, სემანტიკა

**Teona Khuphenia**

*Doctor of Philology, Professor at ZSU*

**Luiza Khachapuridze**

*Doctor of Philology, Associate Professor at ATSU*

## SEMANTIC AND LEXICOLOGICAL ASPECTS OF ENOLOGICAL TERMS WITH NEGATIVE CONNOTATION IN THE GEORGIAN LANGUAGE

### ABSTRACT

*The present study offers a semantic analysis of lexical units that reflect the qualitative characteristics of Georgian wine, based on field research and lexicographic sources. It focuses on the semantic fields of terms denoting low-quality wine in various dialectal areas, examining their etymological and semantic features. The research provides a structural-semantic analysis of lexical units used in Georgian dialects to denote inferior wine. The material has been collected through both fieldwork and lexicographic sources. As a result of the study, semantic groupings of lexemes and their distribution across Georgian dialects were identified.*

**Keywords:** *dialectology, enological terminology, semantics.*

### შესავალი

ქართული ღვინის კულტურა და ენობრივი სივრცე ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ამ ურთიერთქმედების ნათელი მაგალითია ღვინის ხარისხის შეფასებისთვის შექმნილი ტერმინოლოგია, რომელიც არა მხოლოდ ღვინის გემოს ან თვისებებს აღწერს, არამედ საზოგადოების ყოფისა და მენტალობის ანარეკლსაც წარმოადგენს.

ქართული ენის დიალექტებში ღვინის ხარისხის აღმნიშვნელი ლექსიკა მდიდარი და მრავალფეროვანია, რაც მიუთითებს მევენახეობა-მეღვინეობის მნიშვნელობაზე ქართულ კულტურაში. კვლევა მიზნად ისახავს უხარისხო ღვინის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების სისტემატიზაციასა და ანალიზს სემანტიკური ველების მიხედვით.

ქართული ენის დიალექტებში დადასტურებული ღვინის ტერმინოლოგია მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს როგორც ლინგვისტური, ისე ეთნოგრაფიული თვალსაზრისით. წინამდებარე კვლევაში განხილულია ცუდი ღვინის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები, აქვე შევნიშნავთ, რომ მათი რაოდენობა უფრო მეტი აღმოჩნდა,

ვიდრე კარგი ღვინისა. ლინგვისტური და კულტურული თვალსაზრისით. რამდენიმე ფაქტორი შეიძლება განვიხილოთ:

1. ხარისხის მაღალი სტანდარტი: საქართველოში ღვინის კულტურა იმდენად ღრმად არის ფესვგადგმული, რომ „კარგი ღვინო“ თითქმის ნორმად ითვლება. შესაბამისად, მეტი საჭიროება იყო იმ ღვინოების აღწერის, რომლებიც ამ სტანდარტს ვერ აკმაყოფილებდნენ.

2. პრაგმატული საჭიროება: ცუდი ღვინის ამოცნობა და მისგან თავის არიდება უფრო მნიშვნელოვანი იყო.

3. ენის ექსპრესიული ფუნქცია: ნეგატიური ემოციების გამოხატვა ხშირად უფრო მრავალფეროვან ლექსიკას მოითხოვს, ვიდრე პოზიტიურის.

**მეთოდოლოგია:** კვლევა ეფუძნება საველე კვლევებსა და ლექსიკოგრაფიულ წყაროებს. გამოყენებულია ლექსიკოგრაფიული ანალიზი, დესკრიფციული და ისტორიულ-შედარებითი მეთოდი.

**მსჯელობა:**

კვლევის შედეგად გამოიყო სამი ძირითადი სემანტიკური ჯგუფი: წყლიანი, მჟავე და უგემური ღვინის აღმნიშვნელი ტერმინები.

**წყლიანი**

**არმუჯი** – წყალნარევი ღვინო (ნეიმანი 1978)

**დგვიფი** (დგვიფინა) – წყალნარევი ღვინო (უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი: 2006).

**ჟოქო** – განყალბებული, ცუდი ღვინო (კინმარიშვილი 2016).

**წყალკვნიტელა** – თხელი ღვინო (ნეიმანი 1978).

**შალამურა** – წყალ-წყალა ღვინო (ნეიმანი 1978).

**შუალვინო** – წყალშერეული ღვინო სახარჯოდ (ძონენიძე 1974).

**წყალნარევი ღვინო – წყალ-ღვინო:** ექიმი ხშირად ეტყვის ავადმყოფს: **წყალ-ნარევი** ღვინო სვიო (ქალაქური ლექსიკონი 1997); სამეგრელოში გვხვდება: „წყარამ ღვინ რე“ ან „ართო წყარ რე თე ღვინ“.

**შამანი** – ნაქაჩი. წყალ-მაჭარა (ჭაჭაზე რომ წყალს დაასხამენ, შემდეგ დაღვინდება) იგივე დაბალი ღვინო (ქალაქური ლექსიკონი: 1997).

**ნარწყული ღვინო** (ზ. იმერ.) – ჭაჭისაგან დანურული წყალნარევი ღვინო, წყალ-ღვინო, სახარჯო (ღლონტი: 1974).

**ჟოქო** – განყალბებული ღვინო (საბა).

**ტოპკირა (ქიზიყ.)** – წყლიანი ღვინო (ღლონტი 1974).

**ჭყამპალი** ღვინო – განყალბებული, მდარე ხარისხის (ზედგინიძე: 2014).

**ნაქაჩი ღვინო – წყალ-ღვინო** (ბერიძე: 1912).

**შვლაპი ღვინო** – წყლიანი ღვინო „ტიტეიას იმნაირი შვლაპი ღვინო გამოსვლია, საუფრაზე სასტუმროდ ვერ გამოიტანს და სვას თითონ სახლში მარტო“ (ანსუ ქსკც მასალები, ქუთაისი 1995-2005).

**მ ჟ ა ვ ე ლ ვ ი ნ ო :**

**ჭანგი ღვინო** – მოძმარებული ღვინო (საბა).

**მჭახე / მყვირტლე – ღვინო** მოძმარებული- (საბა).

**მოჯახული ღვინო (რაჭ)** – უვარგისი, აძმარებული (ვ. ბერიძე 1912).

**მწკლარტე / ძელგი** – მომწარო, მომჟავო „მწკლარტე, ძელგ ღვინოს ვერ ეიშნოფს ადამიანის ორგანიზმი“ (ზემოიმერული ლექსიკონი 1974).

**მჭახე, ჭმახი, წმახი, კანახი, კანამახი** – ძალიან მჟავე ღვინო „ეს ღვინო კი არა, რალაც კანამახია“ (ნეიმანი 1978).

**ჭანკი** – ძალიან მჟავე ღვინო „ჭანკი ღვინოა, ისეთი მჟავეა, რომ ყვავს დააჩხავ-ლუბს (ნეიმანი 1978); სამეგრელოში იყტვიან: „ართო ძმარ რენია თე ღვინ“.

**ჭყაპარტა ღვინო (იმერ.)** – მჟავე ღვინო (ღლონტი 1974.) „ჭყაპარტა“ – სავარა-უდოდ უკავშირდება ხმაბაძვით ძირს „ჭყაპ-“, რომელიც სითხის მოძრაობის ხმას გა-მონათავს. შდრ: „ჭყაპუნი“, „ჭყაპაჭყუბი“.

**ბჟუქურაი, ბჟუქურე ღვინო (გურ.)** – მომჟავო, უღონო ღვინო (გურული ლექსი-კონი; ღლონტი 1974).

**ჟვაპანეთი** – ცუდი, მჟავე დასალევი ღვინო (კინმარიშვილი: 2016).

**მარახოში** (ქიზიყ.) – **მომჟავო** (ღლონტი: 1974) „მარახოში“ – ზემო აჭარულ-ში გვაქვს „მაიხოში“ მჟავეს მნიშვნელობით, მომდინარეობს სპარსული სიტყვიდან – mayhoš. ამ ფორმით დასტურდება სულხან-საბასთანაც.

**მდარე, უგემური ღ ვ ი ნ ო**

ამ ტიპის ღვინო უმეტესად გამოიყენებოდა სახლში სასმელად, რაც დაბალ ეკენო-მიურ მდგომარეობაზეც მიუთითებს:

**გელებჟურ-ი** (გურ.) – უგემური, უღონო ღვინო (ღლონტი 1974), „გელებჟურ-ი“ და „ბჟუქურა-ი“ – ორივე გურული დიალექტიდანაა და საერთო ძირი აქვთ „ბჟ-“. სავა-რაუდოდ, უკავშირდება მეგრულ „ბჟა-ს“ (რძე), რაც შესაძლოა მიუთითებდეს ღვინის არასასურველ სირბილეზე, უღონობაზე. სამეგრელოში იტყვიან: **დოხუნელი, კოლო-**

**ციანმკლავი** – ცუდი ღვინო (კინმარიშვილი: 2016).

**მოგუდული ღვინო** – (ქართლ.) უჭაჭოდ დაყენებული ღვინო (ღლონტი: 1974). იგი-ვე: „შუმი“, „ბლანდე“, „ფეთქი“, „ფეხში გამოღებული“ – როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული მასალებით მტკიცდება, რომ ამ წესით ღვინოს მხოლოდ ოჯახში სასმელად აყენებდნენ და საბაზრო მნიშვნელობა არ ჰქონია.

**ალეში ღვინო (რაჭ.)** – თხელი, მდარე ღვინო (ბერიძე : 1912).

**ლალე ღვინო (იმერ.)** სუსტი, სიმაგრე დაკარგული ღვინო, მდარე ღვინო (ღლონ-ტი: 1974). სამეგრელოში იტყვიან: „ქაქა“ ღვინ რე; „ქაქა ოშუმალ რენია“.

**მონაყული ღვინო** – გადებრუნებული ღვინო (კინმარიშვილი: 2016).

**ნადული ღვინო** – საწნახლიდან შუმი ღვინის ამოცლის შემდეგ ჭაჭას წყალს დაას-ხამენ, მაგრად აზელენ და აცლიან ადულებას. ამ წესით მიღებულ ღვინოს უწოდებენ ნადულს (გურული ლექსიკონი 2014).

**გაგალება** – ღვინო გაგაღდა ე. ი. ღვინოს სიმაგრე მოაკლდა (გურული ლექსიკონი 2014).

**ორტაბახა ღვინო** – ორგემოვანი, ტკბილ-მჟავე (გურული ლექსიკონი).

**ძნელ-მაგარა ღვინო** – სპირტიანი, მძმე დასალევი (გურული ლექსიკონი).

**ძიძგი ღვინო** – უგემური, უსიამოვნო: „კახური ღვინო პირველათ ძიძგი დასალე-  
ვია, მარა მერე გაგიტკება“ (ჯავახური ლექსიკონი: 2014); ჩვენ მიერ იმერეთში მო-  
პოვებული მასალების მიხედვით ძიძგი / მჟავეს სინონიმი : „ავთოიას იმფერი ძიძგი  
ღვინო ჰქონია, მოვსვი თუ არა ტანში გამაძიძგინა, მჟავე იყო სასწაული“, „ბალანას არ  
მიცე ლიმონი ძიძგია და პირს აუნვაავს“.

**დასკვნა:** წარმოდგენილი მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ ქართული ენის დი-  
ალექტებში ცუდი ღვინის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები მრავალფეროვნებით  
ხასიათდება. განსაკუთრებით მდიდარია იმერული, გურული და კახური დიალექტები,  
რაც ამ რეგიონებში მევენახეობა-მელვინეობის ტრადიციების სიძველესა და მნიშვნე-  
ლობაზე მიუთითებს. თითოეული ლექსემა ასახავს ღვინის კონკრეტულ ნაკლოვანებას  
და ხშირ შემთხვევაში მოტივირებული სახელდების პრინციპს ეფუძნება. საინტერესოა,  
რომ ამ ტერმინების უმრავლესობა მეტაფორულ გადააზრებას ეფუძნება და ხშირად  
სხვა სფეროებიდან (საკვები, მოძრაობა, ფიზიკური თვისებები) არის ნასესხები.

ღვინის ლექსიკა ძალიან მნიშვნელოვანი წყაროა ისტორიული დიალექტოლო-  
გიისთვის რამდენიმე მიზეზის გამო:

**1. კულტურული არელების კვლევა:**

ღვინის ტერმინოლოგიის გავრცელება გვიჩვენებს არა მხოლოდ მევენახეობის  
არელებს, არამედ კულტურულ-ეკონომიკურ კავშირებს რეგიონებს შორის.

**2. სოციო-ლინგვისტური ასპექტი:**

- ტერმინების სიმრავლე გარკვეულ რეგიონებში (მაგ: გურული, იმერული) მი-  
უთითებს ღვინის კულტურის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ამ მხარეებში
- ლექსიკის სპეციფიკა ასახავს ადგილობრივი მელვინეობის თავისებურებებს

**3. დიაქრონიული ცვლილებები:**

დღეს, როცა ღვინის წარმოება შემცირებულია ბევრ რეგიონში, ეს ისტორიული  
ლექსიკა გვეხმარება აღვადგინოთ მევენახეობა-მელვინეობის ტრადიციული არელები

**4. მატერიალური კულტურის კვლევა:**

- ლექსიკა ასახავს ღვინის დაყენების ტექნოლოგიებს და მათ რეგიონულ თავი-  
სებურებებს;
- ტერმინების სემანტიკა ხშირად მიუთითებს ხარისხის კონტროლის ტრადი-  
ციულ მეთოდებზე.

ეს ცოდნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, როცა: ტრადიციული მეურნე-  
ობები იცვლება, ხდება ღვინის წარმოების ინდუსტრიალიზაცია და იკარგება დიალექ-  
ტური თავისებურებები.

ვფიქრობთ, ისტორიულ ღვინის ლექსიკას რამდენიმე მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია თანამედროვე მევენახეობა-მეღვინეობაში:

1. კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება:

ეს ლექსიკა არის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი

2. პრაქტიკული გამოყენება:

- ძველი ტერმინები ხშირად აღწერს ღვინის კონკრეტულ მახასიათებლებს და დეფექტებს

- ეს ცოდნა შეიძლება გამოყენებულ იქნას ხარისხის კონტროლის თანამედროვე სისტემებში

3. საგანმანათლებლო მნიშვნელობა:

- მნიშვნელოვანია მეღვინეობის სასწავლო პროგრამებისთვის

- შეიძლება გამოყენებულ იქნას პროფესიული ტერმინოლოგიის განვითარებისთვის

თუმცა, ეს ლექსიკა ნამდვილად მივიწყების პირასაა. ამის მიზეზებია:

- მეღვინეობის ინდუსტრიალიზაცია

- ახალი, საერთაშორისო ტერმინოლოგიის შემოსვლა

- ტრადიციული საოჯახო მეურნეობების შემცირება

**დასკვნა:** სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი აღნიშნული ლექსიკის შესწავლა და დოკუმენტირება, სანამ ის საბოლოოდ არ დაკარგულა. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის არა მხოლოდ ეთნო-ლინგვისტური, არამედ კულტურული გადარჩენის საკითხიც.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

**ბერიძე, ვ.** სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, 1912.

**ელერდაშვილი, ა.** უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბილისი: ფანტაზია, 2006.

**ზედგინიძე, გ.** ჯავახური ლექსიკონი, თბილისი, საუნჯე, 2014.

**კინმარიშვილი, ნ.** „დაუცხრომელთა სამყოფელი“ – გურია. თბილისი, 2016.

**ნეიმანი, ა.** ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, 1978.

**ქალაქური ლექსიკონი** გრიშაშვილი ი. ქალაქური ლექსიკონი, თბილისი, სამშობლო, 1997.

**ღლონტი, ა.** ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. ნ. 1, 2. თბილისი: განათლება 1974.

**შარაშიძე გ.** შარაშიძე გიორგი, გურული ლექსიკონი, თბილისი, გურიის სიძველეთა კვლევის ცენტრი 2014.

**ძონენიძე, ქ.** ზემოიმერული ლექსიკონი. თბილისი: განათლება, 1974).

**შემოკლებანი:**

**ანსუ ქსკც მასალები** – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტ. ფუტკარაძის სახლობის ქართველოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მასალები, ქუთაისი 1995-2005.